# ცნობის ფურცელი

I წ. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** პარასკევი, 23 თებერვალი **№ 1390**

**ფასი ღირს:** წელიწადში—**6** მან., თვეში—**75** კაპ., ცალკე ნომერი—**3** კაპ., ფასი განცხადებისა: ...ბრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—**10** კ. მეოთხეზე—**5** კაპ.
...ს-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ...ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგო-...ბაში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, **11** საათიდან **1**-ლ საათამდე.
**რედაქციის კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.
ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"—„Моамбе".** **ტელეფონი № 372**


...ნინა ბარბარე რაფიელის ასული ხიმშიაშვილისა, ანასტასია რაფიე-...ის ასული კახიძისა, კნეინა ელენე რაფიელის ასული ტუსიშვილისა, ...ნაჟ. თეოდოსია რაფიელის ასული ერისთავისა, თავადი ნიკოლოოზ ...რიგოლის ძე ხიმშიაშვილი, ვასილი ბესარიონის ძე კახიძე და თავა-...ი გიორგი დავითის ძე ტუსიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავ-...ა და ნაცნობთ—პირველნი ძვირფასი მამის, ხოლო მეორენი ძვირფასი სიმამრის

## თავ. რაფიელ დავითის ძის ერისთავის

...რდაცვალებას. პანაშვიდები დილით და საღამოთი ქ. თელავში მიცვალებულის სახლში. დაკრძალულ იქმნება კვირას, 25 თებერვალს, ს. ...ისტაურში.

---

...უკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიის მღვდელი **იოსებ ილიას ძე ბერიძე, სოფიო** ...**ოსების ასული ბერიძისა, მარიამ ელიზბარის ასული ბერიძისა, ეკატერინე** ...**რიგორის ასული გაბიტოვისა, ოლღა ილიას ასული თავაძისა** მეუღლით, ...**ოლღა ილიას ასული გაბიტოვისა, ანნა იოსების ასული ბარსკისა, გი-** ...**ორგი იოსების ძე გაბიტოვი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ...ნაცნობთ გარდაცვალებას—პირველი ორი ძვირფასის და დაუვიწყარის სიყრმის შვი-...ლის, მესამე და მეოთხე შვილის შვილის, მეხუთე ძმისწულის, მხოლოდ უკა-ნასკნელნი დისწულის

## ლ ი ზ ი კ ო ს ა ს

...ა სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის გამოსვენებაზე კუკიის სასაფლაოს ეკ-...ლესიაში 24 თებერვალს, დილის 10 საათ.; პანაშვიდები საღამოს 7 ს. (2—2)

---

### თავ. რაფ. ერისთავის დაკრძალვის გამო

ტფილისის ქართველ საზოგადოების დეპეშაზე, რომლის შინაარი გუშინ გვქონდა მოყვანილი, თელავიდან შემდეგი პასუხი მოვიდა დეპეშით: „რადგანაც განსვენებულს რაფიელ ერისთავს სიცოცხლეში რამდენჯერმე გამოუცხადებია მტკიცე სურვილი, რომ დასაფლავებულ იქმნას სოფ. ქისტაურში, ამიტომ მისმა ნათესავებმა და ოჯახმა გადასწყვიტეს აღასრულონ გარდაცვალებულის სურვილი; დაკრძალვა მოხდება სოფ. ქისტაურში კვირას, 25 თებერვალს".

ამის გამო გუშინ ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში მოხდა კერძო კრება, რომელზედაც დამსწრეთ სჯა ჰქონდათ იმის შესახებ, თუ როგორ სცეს ტფილისის ქართველმა საზოგადოებამ პატივი განსვენებულის სახელს. გადაწყდა დაკრძალვის დღეს, კვირას, 25 თებერვალს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქმნას წირვა და პანაშვიდი; ხოლო გვირგვინებისა და დეპუტატების გაგზავნის მაგიერ შეგროვდეს ფონდი რაიმე კეთილ საქმის მოსაწყობად განსვენებულის სახელზე. იქვე შეგროვდა 268 მანეთი, ასე რომ გუშინწინდელ კრებაზე შეგროვილ ფულთან ერთად (332 მან.) შესდგა სულ 600 მანეთი. აქვე მოგვყავს ოქმი, რომელიც დაიწერა გუშინდელს კრებაზე:

«ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა, უმაღლესის კარის ეგერმეისტერმა თავ. დ. ზ. მელიქიშვილმა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების თავმჯდომარემ და ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ თავ. ი. გ. ჭავჭავაძემ, ქართულ დრამატიულ საზოგადოების თავმჯდომარემ გ. ა. სულხანიშვილმა, ტფილისის სამეურნეო ბანკის წარმომადგენელმა ამ ბანკის დირექტორმა თავ. გ. ს. მიქელაძემ, გაზეთების «ივერიის» და «ცნობის ფურცლის» და ჟურნალ «მოამბის» რედაქციების წარმომადგენლებმა და სხვათა მოლაპარაკეს იმის თაობაზე, თუ რაგვარად პატივი სცენ განსვენებულის თავ. რაფიელ დავითის ძის ერისთავის სახელს და, სხვათა შორის, დაადგინეს: სთხოვონ განსვენებულის პატივისმცემელთ, რომ მიცვალებულის ზიარებს შესამკობ გვირგვინების ყიდვის ნაცვლად, ამა გვირგვინების სასასყიდლო მოხმარდეს რომელსამე სამადლო საქმეს განსვენებულის სახელის საუკუნო სახსენებლად. ამასთანავე ზემოხსენებულნი სთხოვენ, ვისაც სურს ამგვარად პატივი სცეს მიცვალებულს, გვირგვინებისათვის გადადებული ფული გაუგზავნონ «ივერიის» და «ცნობის ფურცლის» რედაქციებს».

---

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

21 თებერვალი.

**ბერლინი.** ვალდერზეემ უბრძანა ქვეითა ჯარის ერთ როტას და ამხედრებული ქვეითა ჯარის ერთ პატარა რაზმს, რომ ალყა შემოარტყან ჩჟან-პინის, პეკინიდან 35 კილომეტრის სიშორეზე, ჩრდილოეთით, სადაც კიდევ მოქმედობენ „დიდი მუშტი" და ყაჩაღები.

**მადრიდი.** ირუნში დამოენაში ერთი ყუთის გახსნის დროს საშინელი აფეთქება მოხდა. ბევრი დაჭრილი და მოკლულია. ქონებრივი ზარალი დიდია.

**ბერლინი.** იმპერიის სეიმმა დაამტკიცა გარეშე საქმეთა და ცზი-ჩჟოუს ბიუჯეტი.

**დარმშტადტი.** დიდმა ჰერცოგმა მიიღო რუსეთის ახალი მინისტრი-პრეზიდენტი, თავადი კუდაშევი.

---

...სცრიულ საზოგადოების თეატრის დარბაზში
**შაბათს, 24 თებერვალს,**
...კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების სასარგებლოთ გაიმართება

## ...ონცერტი

2 განყოფილებად.

...ნაწილეობას მიიღებენ: კნიაგ. გურამიშვილისა, ...ტერიან-ყორღანოვი, კნ. ამირეჯიბისა, ქ-ნი თუ-...ილისა და ბბ. ვილშაუ, კარგარეთელი, კავსა-...როო და ორკესტრი ნ. ს. კლენოვსკის გამგე-...

**კონცერტის დასასრულ**
**ს ა ც ე კ ვ ა ო ს ა ღ ა მ ო.**

...ეთები ახალ განკარგულებამდე იყიდება ...ა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში.

---

### მთავრობის განკარგულებანი.

სამურის მე-83 პოლკის პოდპრაპორშჩიკს ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე ს და სურის მე-232 სარეზერვო ბატალიონის პოდპრაპორჩიკს ა ნ ა ნ ი ა შ ვ ი ლ ს ებოძათ პოდპორუჩიკობა.

კავკასიის რეალურ სასწავლებლის მასწავლებელს ნ ი კ ო ლ ო ო ზ ბ ა ლ ა ნ ჩ ი ვ ა ძ ე ს, თელავის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს ვ ა ს ი ლ ბ ა რ ნ ო ვ ს, ტფილისის საკონტროლო პალატის მოხელეს ყ ა რ ა შ ვ ი ლ ს, ტფილისის სამაზრო მომრიგებელ სასამართლოს ბოქაულს თავ. ნ ი კ ო ლ ო ო ზ ც ი ც ი შ ვ ი ლ ს. ვილმანსტრადის პოლკის კაპიტანს თავ. ვ ლ ა დ ი მ ე რ ი ა შ ვ ი ლ ს, ტამანის პოლკის შტაბს-კაპიტანს დ ა ვ ი თ გ უ ნ ც ა ძ ე ს, მე-7 კავკასიის მსროლელ ბატალიონის შტაბს-კაპიტანს თავ. ლ ე ვ ა ნ მ ი ქ ე ლ ა ძ ე ს ებოძათ წმიდა ანნას მე-3 ხარისხის ორდენი.

---

# ფელეტონი

## ქიზიყის ავ-კარგი.

ქიზიყი ნახევარ საუკუნის წინად და დღეს.—საქართველოს ყველა კუთხეზე ქიზიყის ქონებრივად დაწინაურება მეურნეობა-მრეწველობის გაფართოებით.—მისი სიმდიდრის ძირის მთხრელი ჭირ-ვარამი და საჭიროება.

I

...ორმოცდა-ათი წლის წინად რომ სიღ-...ის მაზრა-ქიზიყის გომურებიან და ჩა-...რებიან სოფელში გაგევლოთ, იფიქრე-...თ: სწორედ მოსისხლე ომარ-ხანის ან ...ნდობელ შამილის აზვავებული ჯარ-...შქარი დასცემია ქურდულად, ტყვეთ ...სხამს ყველანი და ამიტომაც ასე გარინ-...ული ლაბა ხარივით მიჩუმებულა და ...რუებულა ტყიან მთა-გრეხილის ზურგზე ...ფერდობებზე მოფენილი სოფლებიო. ...უდგრომელმა დრომ მაშინდელმაც სი-...რივით გაირბინა სამყაროს უძირო სი-...მე-სივანეში, განქრნენ დროთა ცვლი-...ბისაგან გომურები და ჩალურები თა-...ნთ მდაბიური სიჩუმე-სიწყნარით და ქი-...ყის დღევანდელი ქვითკირ-კრამიტიანი ...ლებით გაჭედილი უზარმაზარი სოფლე-...პაწია დაბა-ქალაქებს ემსგავსებიან გარე-...ულად, ხოლო ათასგვარ სავაჭრო საქო-...ის დუქნებითა და სამიკიტნოებით სავსე სოფლის შუაგული ნამდვილ შეითან-ბაზარს წარმოადგენს თავისი დღე და ღამე დაუცხრომელი აურ-ზაურით, მაგრამ თუ სწორეს მათქმევინებთ—შეითან-ბაზარზედაც უარესია, რადგანაც ქალაქის შეითან-ბაზრებს დესეტნიკები მაინც უდგანან ყველგან კრიჭაში, და ქიზიყის სოფლების შეითან-ბაზრელები კი დესეტნიკებიც თითონვე არიან, „ნაჩალნიკებიც" და „პოპოშნიკებიც" ბეჩავი ხალხისა, რომელსაც როგორც უნდათ, ისე სწველიან, ჰკრეჭავენ და ატყავებენ ათასგვარი სავერაგო სიყალბითა და მოტყუებით.

დიაღ, მთლად შეიცვალა ჟამთა ვითარებისაგან საქართველოს დიდი კუთხე ქიზიყიც როგორც გარეგნულად, ისე შინაგანად. ნახევარ საუკუნის წინად თუ ქიზიყისსოფელში „წამლათაც ვერ იპოვნიდით" ქვითკირ-კრამიტიან შენობას, დღეს ძალიან იშვიათად-ღა შეჰხვდებით ქვითკირ-კრამიტიანი შენობებით გაჭედილ სოფელში გომურსა და ჩალურ სახლს. ნახევარ საუკუნის წინად თუ თითო სოფელში თითო მენემსე-მელახოსტაკე მარტიროზ და კირაკუზა ვაჭრობდა ვაგლახად მოწნეხილ ქოხბუდრუგში, დღეს ყველა სოფლები ყელთამდის სავსეა ქალაქურად გაჩაღებული დუქან-ბაზრებით და სხვა-და-სხვა მრავალი მოვაჭრე-მოვახშეებით. ნახევარ საუკუნის წინად თუ კაი შეძლე ოჯახის მანდილოსნებიც და ქუდოსნებიც შინ-მოქსოვილ ხამ-ლაინის ტანისამოსით დადიოდნენ, ქალები კუტა-ხარაზის ამოჯღანულ სამოგვე-მეშის ფეხსაცმელებს იცვამდნენ და ტყაპუჭიანი კაცები — ქალმის კოხუნჯებს, დღეს საწყალი გლეხის ქალ-რძლებიც კი ვალ-ვახჩში აგდებენ კაცებს და მოდის ათასნაირი ტანისამოსებით იმოსებიან თავითფეხამდე, ერთი მჭადის ფერ-უმარილის ნაცვლად რალე-სიუ-ბროკარის „პუდრითა და დუხ-პომადით" ითხუპნებიან თხუნელასავით, და ის სოფლის ვაჟკაცნიც კი კოხტა ჩუსტებით, საუკეთესო შალის ჩოხა-შალვრით და ოქროთი მოვარაყული ვერცხლის ქამარხანჯლით ირთვებიან თავ-მომწონედ ერთმანეთის ჯიბრითა და წახედულობით, რომელნიც მამასისხლად აღებულ ვალ-ვახჩს ძვალმანიანად გამოუხრავს და შინ კატა არას შეუჭამს და გარეთ ძაღლი. ნახევარ საუკუნის წინად თუ ზოგმა ერთმა მონასტრის გარეთ აღზრდილმა, „ხარის ბეჭზე ნახშირით ნასწავლმა" მღვდელმაც კი რიგიანად ხელის მოწერა არ იცოდა და სკოლის სახელიც არ გაეგონა მდაბიო ხალხის უმრავლესობას, რომელსაც შიშიანობის თავზარი ჯერაც არ გამოჰხდებოდა და ცალ ხელში ისევ ხმალი ეჭირა და მეორეში—გუთანი, მაშინ თუ ზოგიერთნი თავად-აზნაურიც კი არაფრად აგდებდნენ სწავლას და ვორონცოვის დროს ჯილდოსაც ჰპირდებოდნენ მშობლებს—ოღონდ თქვენი შვილები სასწავლებელში მოიყვანეთო, დღეს ქიზიყის თითქმის ყველა სოფელს პირველ-დაწყებითი სამრევლო ან სამინისტრო სკოლა მოეპოვება, სადაც იმოდენა ქალ-ვაჟნი მიჰყავს გლეხობას ყოველ შემოდგომობით, რომ უადგილობის გამო ნახევარს უკანვე აბრუნებენ თვალ-ცრემლიანი დედები თავიანთ პატარა შვილებს და სხვანი და სხვანი.

დაუცხრომელ დაღესტნის დაპყრობისა და გულ-ღვარძლიან შამილის დატყვევების შემდეგ (1859 წ.), დაშრა ბრძოლის ველზე ადამიანთა სისხლის გუბეები, გამოელიათ ნადირებსა და სვავ-ყვავ-ყორნებს სისხლი და ხორცი ადამიანისა, მოისპო საზარელი შიშიანობა და დამშვიდდა ქართველთა სისხლით გაუმაძღარ ბარბაროს-მტარვალთაგან მრავალ-ტანჯული ქიზიყიც, რომელიც მაღლე წელში გაიმართა, სულ-შეხუთულმა თავისუფლად ამოისუნთქა, სამუდამოდ გამოძვრა მთის წვერებზე და მაღლობებზე მრავლად წამოჭიმულ ათასწლოვან ციხე კოშკების ხავს-მოკიდებულ სამალავებიდან და ზეცისაკენ დიდის სასოებით თვალებ-აპყრობილმა, ცრემლ-მორეულმა მადლი შესწირა დამბადებელს გულ-მხურვალე ლოცვა-კურთხევით, რადგანაც ორი ათასის წლის მედგარ ბრძოლის გამუდმებულ სისხლის ღვარშიაც საშვილი-შვილოდ შეინარჩუნა ღვთისაგან მონიჭებული თავი-

**გლუმფონტეინი.** 17 თებერვალს მილნერი მოვიდა აქა და გუშინ კიტჩენერთან ერთად ჩრდილოეთისაკენ წავიდა.

ტაბანჩუდან მოვიდნენ გამოქცეული ბურები 15 ფურგონით.

**მადრიდი.** საგასტას განზრახვა აქვს პალატა დაითხოვოს. არჩევნებს სენატი მაისისათვის დაჰნიშნავს. სამინისტროს ცხადი დემოკრატიული ხასიათი ექნება. საგასტა კაბინეტის სიას დღეს წარმოადგენს.

**პეტერბურგი.** დიდი მთავარი ბორისი ვლადიმირის ძე სამზღვარ გარედ წავიდა.

**ტამბოვი.** სარატოვის სამოსამართლო პალატის სესიამ გაარჩია სააპელაციო საქმე ბოქაულად ნამყოფის კირიუკოვსკისა, რომელსაც ჰბრალდება თავისი უფლების გადამეტება მასწავლებელი ქალი ლავროვსკაიას საქმეში.

პალატამ დაადგინა ეს საქმე გადასცეს გასარჩევად სამოსამართლო პალატას წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

# ჟურნალ-გაზეთებიდან

✡ გუშინ მოყვანილი გვქონდა ირლანდიელი დეპუტატის რედმონდის სიტყვა სახელმწიფოს მიერ ძალდატანებით მამულის გამოსყიდვის შესახებ ირლანდიაში. ამავე საგანზე რედმონდის შემდეგ ილაპარაკა ირლანდიელმა დეპუტატმა როსელმა. ამ დეპუტატის სახელი ხშირად შეგვხვდება ამას იქით, ამიტომ საჭიროა მოკლედ გავიცნოთ ეს პირი.

როსელი,—ამბობს ერთი რუსული გაზეთის კორესპონდენტი,—ოლსტერის (ჩრდილოეთ-ირლანდიის პროვინციაა) ფერმერების მეთაურია; ის 55 წლისა იქნება, ჯმუხი, მხარ-ბეჭიანია, თავზე და სახეზე მეტად ხშირი თმა აქვს. ულამაზო, პრტყელი სახე ჰმოწმობს როსელის ძალასა და მედგრობას. ეს ტიპიური სახეა შოტლანდიელი გლეხისა, რომლის შვილი არის როსელი ამისთანავე სახე ჰქონდა როსელის თანამემამულეს კარლეილს. როსელს სწავლა და განვითარება ცხოვრებაში თავის თავად მიუღია და არა სკოლაში. ამბობენ, რომ ის გამდიდრებული მეტრახტირეა ამან იმდენად გამოიჩინა თავი, რომ ვიდ უ ირლანდიელებს მიუდგებოდა და მოქმედებას დაიწყებდა ოლსტერში, მინისტრის ამხანაგის ადგილი ეჭირა ახლანდელ კაბინეტში როსელის მსგავსი შოტლანდიელები მძიმედ ჰფიქრობენ, მეტად ნელა მიდიან რაიმე დასკვნამდე, მაგრამ თუ კი ერთი რამე ჭეშმარიტებად იცნეს, ისინი არაფრის გულისათვის უკან აღარ დაიწევენ. ეს ჭეშმარიტება მთლად შეიპყრობს ხოლმე ამათ არსებას, რაც უნდა იყოს ეს ჭეშმარიტება, გინდ პოლიტიკური აზრი იყოს, გინდ სარწმუნოებრივი. ამნაირი კაცები ყველაფერს სწირავენ ამ ჭეშმარიტებას: თავიანთ დროს, შეძლებას, საზოგადოებაში მდგომარეობას და ბრძოლის დროს—სიცოცხლესაც კი. როსელი არაა მჭევრმეტყველი ენის პატრონი, როგორც ბევრი ირლანდიელი დეპუტატია; ის ლაპარაკობს მარტივად, მაგრამ მძლავრად და დარწმუნებით. ის მოქმედობს იმ სახელითაც, რომელიც როსელმა დაიმსახურა თავის პატიოსნებით. ასე დაწვრილებით იმიტომ ავწერეთ როსელი, რომ იმის სიტყვას ყველა გაზეთები ისტორიულ მნიშვნელობას აძლევენ. ამ სიტყვის აქეთ იწყობა ხანა ირლანდიელების შეერთებისა ინგლისის წინააღმდეგ საბრძოლველად. როცა რედმონდმა გაათავა თავისი სიტყვა, როსელი წამოდგა.

«არასოდეს,—სთქვა როსელმა, არა ვყოფილვარ ასე მტკიცედ დარწმუნებული, რომ სწორედ ვიქცევი, როგორც ეხლა, რადგანაც მე მხარს მაძლევს მთელი შეერთებული ირლანდია. უკვე 12 წელიწადია, რაც ოლსტერელებს ვეხვეწები,—თავი დაანებეთ ამ საქმეს, სხვა დროისთვის გადადეთ მეთქი. აქამდე არასოდეს არ მიფიქრია, რომ უკვე მოაწია დრომ ამ საქმის გადაწყვეტისათვის. ასე შემომხედეთ მე, როგორადაც ახლად მოქცეულს. გამოიცვალა ირლანდია და იმასთან ერთად მეც გამოვიცვალე. ოთხი მიზეზი თხოულობს, რომ ეს საქმე დაუყოვნებლივ გადასწყდეს: 1) როცა ირჩევს მიწების ფასის საქმე, სასამართლოები მიწის პატრონის ლენდლორდების მხარს იჭერენ, 2) ის გაუმჯობესობას, რომელსაც ფერმერები ახდენენ მამულში, მხოლოდ ლენდლორდის სასარგებლოთ რჩება; 3) ოლსტერის ლენდ-ლორდები და მათი რწმუნებულები ცდილობენ ფერმერების შედავათების მოსპობას და 4) მშვენიერი ნაყოფი, რომელიც უკვე მოჰყვა მამულის შესყიდვის კანონს».

როსსელმა დაამტკიცა ყველა ეს მუხლები ფაკტიური ცნობებით და შემდეგ ილაპარაკა იმ მოსაზრების წინააღმდეგ, ვითომც საშიში იყოს ძალის დატანებით მამულების შესყიდვა.

«ხოლო ირლანდიის მდგომარეობა,—სთქვა როსსელმა,—სულ სხვაა, რადგანაც ეხლანდელი სისტემა თვითონაც კანონების უარ-ყოფის შედეგია, მხოლოდ ჩვენ გვინდა შევისყიდოთ არა თუ მამული, არამედ თვით ირლანდიის უკმაყოფილებაც. თუ მივიღებთ მიწის-მფლობელობის ახალს წესს, ჩვენ მოვსპობთ ირლანდიაში მუდმივს შფოთს, იმის მესხედ ნაწილს მაინც. მე ვიცი, რომ ჩვენი წინადადება უარ-ყოფილ იქმნება, მაგრამ ჩვენი ნალაპარაკევი დარჩება და ამ საგნისათვის ბრძოლა უფრო დღე-გრძელი იქმნება, ვიდრე ჩვენი წინადადება. ირლანდიას არასოდეს არა მიუღია-რა უბრძოლველად და უმუქროდ და, ბოლოს და ბოლოს, იმას ყოველთვის თავისი გაჰქონდა. მე ვიცი, რომ პასუხად პარლამენტი გვეტყვის: «არასოდეს», და სამინისტრო «არას. ოჰ, ეს «არასოდეს» და «არა»! მთელი საუკუნოების მას შემდეგ, რაც ჩვენ ასეთი პასუხები გვესმის. მაგრამ პარლამენტებიც და სამინისტროებიც ყოველთვის იძულებულები იყვნენ შემდეგში უარეყოთ ასეთი პასუხები. რედმონდის წინადადებას მე მხარს ვაძლევ წრფელის გულით და სულით. მე ვრჩები უნიონისტად, მაგრამ ეს გარემოება არ დამიშლის სრულებით, რომ ნაციონალისტებთან ერთად ვიმოქმედო ყოველ საქმეში, რომელიც კი ირლანდიის ბედის გაუმჯობესობას შეეხება».

როსსელს პასუხი მისცა პალატის წინამძღოლმა ბალფურმა, რომელმაც დაცინვის კილოთი სთქვა, რომ მას შემდეგ, რაც როსსელი მიემხრო ირლანდიელ ნაციონალისტებს, იმათი მჭევრმეტყველობა და იმათი ნაკლულევანებაც შეითვისო. ხსენებული წინადადება ბალფურმა რევოლიუციონურ წინადადებად ჩათვალა და სთქვა, რომ ინგლისს არ შეუძლიან აჩუქოს ირლანდიას ამ საქმისათვის საჭირო 120 მილ. გირვანქა სტერლინგი. საზოგადოდ ბალფურის პასუხი მეტად სუსტი იყო. ერთად ერთი საბუთი, რომელზედაც იმან დაამყარა თავისი აზრი, იყო ის, რომ, როცა ფერმერები მამულებს შეისყიდიან, მაშინ ის სოფლელი მუშები, რომლებიც ეხლა მებატონეების მამულებში ჰმოვობენ დუმა-პურს, უსაქმოდ დარჩებიანო.

პოლკოვნიკმა საუნდერსონმა,—ერთად ერთმა ირლანდიელმა დეპუტატმა, რომელიც რედმონდის წინადადების წინააღმდეგი იყო, სთქვა, რომ ამ წინადადების ასრულება დამღუპველი იქნება ინგლისის იმპერიალიზმისთვისაო; ირლანდიის მებატონეები ნამდვილი მეციხოვნე ჯარის რაზმია ინგლისისაო. თუ ამათ ძალით მამულებს გააყიდვინებენ, მაშინ ახალი მიწის პატრონები გაჩნდებიან, რომლებიც ცხადად გამოსთქვამენ სიძულვილს ინგლისისადმი.

ამაზე როსელმა უპასუხა საუნდერსონს, რომ მართლაც იყო დრო, როდესაც მებატონე ლორდების მთელი ირლანდია ხელში ეჭირათო; ისინი თავიანთ ფერმერებს და მუშებს ძალით არჩევინებდნენ დეპუტატებს. ეხლა სულ სხვა დროა: ლენდლორდებს არავითარი ძალა აღარ დარჩათ იმათ, არა თუ პარლამენტის დეპუტატის არჩევანზე აღარა აქვთ გავლენა, თითონ იმათაც კი აღარავინ ირჩევს სოფლის საბჭოებშიაც. იმათი დღე დათვლილია და აღარაფერი საქმე აღარ დარჩათ ირლანდიაშიო. როსსელმა მოიხსენია, რომ ინგლისს კაპეიკიც არ დაეკარგება ირლანდიაზე და უკლებლივ მიიღებს ნასესხებ ფულსაო, რადგანაც ირლანდიაში არსებობს ამ ყა მად საგრაფოები და სასოფლო საბჭოები, ლებიც იკისრებენ ამ ფულის გადახდის გებასაო. დასასრულ როსსელი შეევედრა ლამენტს—ირლანდიას შემწყობა მისცეს ჭირვებიდან გამოსასვლელად, წინააღ შემთხვევაში, ირლანდია ისევ ამბოხებას გახდებაო.

პალატამ რედმონდის წინადადება 95 უმეტესობით უარჰყო. ეს ბრწყინვალე ჯვება არაა იმ სამინისტროსათვის, რომ 140 ხმის უმეტესობა ჰყავს. ეჭვი არ რომ ირლანდიის ადგილ-მამულის საქმე დევ ექნება პარლამენტს სჯა, როდესაც წარდგენილი სამინისტროს ბილლი შესახ ლანდიისა, რომ ირლანდიაში შფოთი ბათ».

✡ ინგლისური ლიბერალური გაზეთებ წმუნებიან, ვითომ ლიბერალი უნიონისტები უკმაყოფილონი არიან ლორდ სოლსბე «მანჩესტერ გვარდიანი» შემდეგს სწერ შესახებ:

«წინანდელ პარლამენტში უნიონისტებ საკმაოდ ბევრი ახალგაზდა კაცი იყო, რო საც ძალიან ჰსურდათ, რომ მთავრობას სოციალური რეფორმები მოეხდინა; მაგრა მწარედ გაუცრუვდათ იმედები. ეხლა ამათ მატნენ სხვა ახალგაზდები, რომლებიც ე მოვიდნენ თავიანთ საარჩევნო ოლქებიდა და ესენი საარჩევნო ბრძოლის დროს ათ სოციალურ რეფორმას დაჰპირებიან ამომ ლებს. მაგრამ რეაქციონერმა ტორიზმმა ყველაფრის იმედი დაუკარგა. ოფიციალურ არასოდეს არა ყოფილა ისე ერთნაირი და კარებელი, როგორც ეხლა. უკმაყოფილო ტატები ამ გარემოებას ჰხსნიან იმ მოებით, რომ ამათ ნათესაობას კა არა აქვთ მთავრობასთან, ანუ ისეთი ციალური უპირატესობა არა აქვთ, რო აქვს მთავრობის წევრებს. ამის გარდა გაზდა დეპუტატებს არ მოსწონთ, ლორდ სოლსმერი სრულიად გულგრილად რის სოციალურ რეფორმებს. სასმელების გა ვის რეფორმას, მოხუცებულ მუშებისათვის სიების დანიშვნას, ღარიბი ხალხისათვის იაფ გომების აშენების და საკითხების და სხვ რეფორმას ლორდ სოლსმერი სულ სხვან უყურებს, სინამ ყველა უნიონისტები. ეს ყოფილობა ჩუმია, მაგრამ მაინც ძლიერია თუ უნიონისტები თავს იმაგრებენ, ეს ა მხოლოდ იმით, რომ ეშინიათ არავინ უ დუროს, რომ მათ დასტოვეს მთავრობა ს იმ საშინელი გაჭირების დროს, რომე ეხლანდელი მთავრობა სამხრეთ-აფრიკაში ჩააგდო. მაგრამ შეგვიძლიან დარწმუნებით ქვათ, რომ სესსიის დროს ეს უკმაყოფ არა ერთხელ გამოიჩენს თავს».

---

სი დედა-ენა, რჯული, ხალხოსნობა და მიწა-წყალი, რომლისათვისაც ალფრთოვანებით მღეროდნენ ქართველთა შეთოფ იარაღებული გმირები ამ ძველთაგან ნათქვამ მარგალიტებს: „მამულო, შენთვის მოვკვდები, შენთვის ჩავიცვამ შავსაო, შენ შემოგწირავ სიცოცხლეს, შემოგევლები თავსაო!“..

უანგარიშო მტერთან მედგრად მეომარმა ქიზიყმა თავის საომარ ციხე-გალავან-კოშკების სამუდამოდ დატოვების შემდეგ, თავისი გომურები და ჩალურებიც დასტოვა ბოლოს და, როგორც ვთქვით, დღეს ქიზიყის ასი ათას (100,000) მცხოვრებელთა უზარმაზარი სოფლები, რომელნიც ჯაჭვივით არიან ერთმანეთზე გადაბმულები, პაწია დაბა-ქალაქებს ემსგავსებიან გარეგნულად თავისი ხშირად დასახლებულ მეკომურთა მრავალი ქვითკირის შენობებით, თუმცა სახლების ცარიელი გარეგნობა, ქიზიყელებისავე თქმით: „გარედან მტერს უყენებს თვალებს და შიგნიდან—პატრონს“, რადგანაც ისე ვაგლახად და უვიცურად არიან შიგნიდან გაკეთებული, რომ ან სიცივით ფიჩხდებიან ზამთარში ადამიანები და ან „გავარვარებული ქესტის ფეჩისაგან“ ავად ჰხდებიან; ამასთანავე ბევრნი მამასისხლად აღებულის ვალითაც იკეთებენ ქვითკირის სახლებს ერთმანეთის წახედულობა-ჯიბრით და სხვანი.

დღეს რომ ორმოც და ათის წლის წინად გარდაცვალებული ქიზიყელი მეომარი გლეხკაცი წამოდგეს სამარიდან, სულაც ვეღარ იცნობს თავით-ფეხამდე გარეგნულად გამოცვლილ ქიზიყს და დიდათაც გაუკვირდება მისი ქვითკირ-კრამიტიანი ზორბა შენობები, ქალაქურად გაჩაღებული დუქან-ბაზრები, „მოდნის“ ტანისამოსით მოპრანჭულ ხალხის ჩაცმა-დახურვა, ჭირსა და ლხინში წითელ-ყვითლად აჭრელებულ თეფშებზე დაწყობილი „ქარკოვი მაკარონით“ და ათასი სხვა რამ, რადგანაც იმას ქიზიყის ხალხისა მიწაში ჩამძვრალი გომურები და ჩალურები ახსოვს, ვაგლახად მოწნეხილ ქოხში შემძვრალი, მეწვრიმალე ლალო ლილაში გავლებული, ხამ-ლაინის ტანისამოსი, ბარაქიან თიხის ჯამში დასხმული ლობიო, ბოზბაში და სხვანი. ყველა ამის შემდეგ, თქმა აღარ უნდა, რომ უწინდელ ხარჯებთან შედარებით დღევანდელ გლეხკაცის ხარჯები გაასკეცებულია და სახელმწიფო და სასოფლო-საზოგადო გარდასახადებიც ერთი ათად და ოცად მეტი.

## II

ეხლა თავის თავად იბადება შემდეგი კითხვა: საიდან ისტუმრებს დღეს ქიზიყი თავის ცხოვრების გამრავალკეცებულს ხარჯებს?—გაფართოვებულ მეურნეობიდან და მრეწველობიდან. შიშიანობის დროს, როცა შეთოფ-იარაღებული გუთნის დედები და მეხრეები „შიშით თვალს ვერა ჰხუჭავდნენ ღამე“, მაშინ ქიზიყი თავის სოფლების ახლო-მახლო ბოლოებზე ჰხნავდა და სთესავდა, ალაზნისა და ივრის შორით შორამდე გადაჭიმული, თვალ-გადუწდომელი მინდვრები კი ისე ეყარა უსარგებლოდ შიშიანობის გამო. ალაზნის პირას, შიშიანობაში შამბნარლიხით ავერანებულ ტრიალ მინდორზედ, იქ, სადაც უწინ მარტო ქართველთა მზვერავები იმალებოდნენ, გამხმარ ბალახის კვირტებს ცეცხლს უკიდებდნენ ღამე და მითი ატყობინებდნენ შორიდან მაღალ მთა-გრეხილზედ მოფენილ ქიზიყს: არიქათ, ლეკის ჯარი მოიპარება ქურდულადო, დღეს იქაც და სოფლებიდან 50 ვერსით დაშორებულ შირაქისა და ივრის ველ-მინდორზედაც ქიზიყელები გულ-არხეინად, საამური ღიღინით გუთანსა ჰხნავენ, სთესვენ, ჰფარცხავენ, დიდძალ ცხვარ-ძროხას აძოვებენ, სთიბავენ, ჰმკიან და მათი მთის ვარდივით ღაღანა ქალ-მანდილოსნებიც ვაჟკაცურაც დააფრენენ ცხენის კევრებს გახურებულ ლეწვაში.

იმ ღრე-კლდეებიან და ჯაგმაგიან ადგილებზედაც კი, სადაც ვინ იცის, რამდენ მილიონ წელიწადებს გაურბენია ადამიანისაგან ხელ-შეუხებლად, ლომკაცივით გამრჯელი ქიზიყელები დღესაც ვენახებსა და თამბაქოს პლანტაციებს აშენებენ, ქვითკირის შენობების საძირკველსა სჭრიან, ც ფარეხებსა და სხვა ოთხფეხ საქო გომებსა და ბინებს აკეთებენ, საკა ჰლობავენ, საკირესა სდგამენ, სამხერხ ამზადებენ, აგურხანებსა ჰმართავენ, წყ გამოჰყავთ, წისქვილებს აბრუნებენ, და სხვა მცენარეულობასა სთესავენ, ქარხანებს აწყობენ, საჭურჭლე მიწას ბენ, მეთევზეობას და მეფუტკრეობას დევენ და სხვა მრავალი. ერთის სიტ მას შემდეგ, რაც გულ-დამშვიდებულმა ზიყმა თოფი და ხმალი სახლის კაჩოზ მოჰკიდა სამუდამოდ, ნელ-ნელა დატ და და გაძლიერდა ბებრის ჯარასავით მეურნეობა და სოფლური მრეწველობ ბოლოს იქამდისაც გაფართოვდა დ აიწია მუშის დღიურმა, თვიურმა და ურმა ფასმა, რომ დღეს მთელის მ დიდძალი ხელოსნები: დურგლები, ტოზები, მჭედლები, ხარაზები, დერც დალაქები *) და სხვანი—სულ ამას ჩი „ამ ათიოდე და ოციოდე წლის წინა ება ბიჭებს ხუთი ექვსი წლით გვაძლევ მუქთა მსახურ შაგირდებათ და დღ ჯამაგირის დაპირებითაც ძლივსლა ვ ლობთ, რადგანაც პაწაწინა ბიჭებსაც ში ხუთ-ექვს მანათს აძლევენ მეთამბა ნიო“ და სხვანი.

*) ხსენებულ ხელოსანთა უმრავლესობას ქ ლები შეადგენენ, ასე რომ 80%-ს აღემატებ

ეთი «დეილი მაილ»-ი უფრო შორსაც , სანამ «მანჩესტერ გვარდიანი». იმ სი ვით, უნიონისტებს ისე საშინლად არ მოს- სამინისტრო, რომ, შეიძლება, დეპუტატ-ლატაში სულ ახალი მეთხე დასი შეს-ა.

# ახალი ამბავი

გუშინ ჩვენ მოგვივიდა შემდეგი დეპე-:

თიდან: „დღეს საკათედრო ტაძარში ოდ-სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპი-ოსმა ალექსანდრემ, საკათ დრო ტაძრის ულითურთ, მრავალ საზოგადოების თა-წრებით გადაიხადა პანაშვიდი გარდაც-ვულის მხცოვანის პოეტის რაფიელ ერი-ს სულის მოსახსენებლად“.

ალციხიდან: „ახალციხის ქართველები დ შეგვაწუხა დაუვიწყარ მხცოვან პო- რაფიელის გარდაცვალების ამბავმა. წრფელ ცრემლებს-ვაფრქვევთ ძვირფა-მამულიშვილის დაკარგვისა გამო“.

ურამიდან: „შეწუხებულმა შესანიშნავის ტის რაფიელის დაკარგვით, სურამის ქარ-ლობამ გადაიხადა ადგილობრივ ეკლე-ში პანაშვიდი განსვენებულის სულის მო-ხსენებლად; გულითადს სამძიმარს ვუცხა-თ მისს ოჯახსა და ნათესავთ“.

◆ ოთხშაბათს, 21 თებერვალს, ქალა- გამგეობამ განიხილა კავკასიის სამეურ- საზოგადოების ვიცე პრეზიდენტის ნათ. თავადის ა. გრუზინსკის მიწერი-ბა, რომელშიაც იგი შუამდგომლობს, ქალაქმა დახმარება აღმოუჩინოს სა-რნეო საზოგადოებას მომავალ სამეურ-სამრეწველო გამოფენის გასამართავად. განაც მომავალ გამოფენაზედ გმართულ ებიან განყოფილებანი ტყის მოვლა-მო-ებისა, ხელოსნობისა, საოჯახო ნაწარ-ბისა, მრეწველობისა, საპედაგოგიო, ცნიერო და სასტატისტიკო განყოფი-ბანი, რაც ინტერესს წარმოადგენს მკვიდ-ათვის, და რადგანაც თვით ქალაქს სურს რთოს მომავლ გამოფენაზედ საკუთარი ლიონი, რათა უჩვენონ ხალხს ქ. ტფი-ის წარმატება და დღევანდელი მდგო-ეობა, და ამასთანავე რადგანაც 1889 ში ქალაქის გამგეობისაგან სამეურნეო ოგადოებისათვის გამოფენის გასამართა- ნასესხებ 15,000 მანეთიდან დღემდე ლიათ მხოლოდ 1,048, გამგეობამ დგინა, გადასდოს მომავალ გამოფენის ამართავად 10,000 მანეთი დაუბრუ-ლად და 5,000 მან. ქ. ტფილისის გამოფენაზე საკუთარის პავილიონის მოსაწყობად.

◆ მთავარ-მართებლის კანცელარიამ შეატყობინა ტფილისის გუბერნატორს, რომ მიმდინარე წელს ტფილისის გუბერნიის მცხოვრებლებს უნდა გადახდეს 134,000 მან. საადგილ-მამულო გადასახადი.

◆ რადგანაც ქალაქმა არ მიიღო 200,000 მანეთი, რომელიც ბ-ნმა ობიმ წარმოუდგინა მას ტრამვაის 15 წლის ექსპლოატაციის ანგარიშში, ეს ფულები ბ. რობის წარუდგენია ოლქის სასამართლოსთვის იმ დრომდე, ვიდრე ბ-ნ რობისა და ქალაქს შუა ატეხილი დავა არ გათავდება.

◆ იმერეთის ეპისკოპოსს ყოვლად სამღვდელო ლეონიდს შეუმჩნევია, რომ იმერეთის ეპარქიაში დიდის ხნიდან არსებობს სარწმუნოების პირდაპირ წინააღმდეგი ჩვეულება მიცვალებულის დამარხვისა (მიცვალებულის დიდი ხნის დაუმარხაობა, შემოსილი მღვდლის დგომა მიცვალებულთან და საცეცხლურით კმევა მოტირალთა, რომელთაც წინ მოზარეები უძღვით და სხვა). ამიტომ ყოვლად სამღვდელოს გაუგზავნია შემდეგი ცირკულიარული მიწერილობა ბლაღოჩინებისადმი: „ჩემდამო რწმუნებული ეპარქიის სამღვდელოებას აუცილებელ მოთხოვნილებად უდგენ: ა) ყველაზე უწინარეს თვითონ სამღვდელოებამ უჩვენოს სამწყსოთ კეთილი მაგალითი ამ შემთხვევაში და როგორც თავიანთ ოჯახობათა რომელიმე წევრის, ისე მახლობელი ნათესავების გადაცვალების დროს, დაუმარხავად არ გაუშვან მიცვალებული სამი დღის მეტი. მესამე დღეს გაასვენონ მიცვალებულის კუბო ეკლესიაში, აქ შეასრულონ წირვა და წირვის ბოლოს შეასრულონ წესის აგება, მიაბარონ მიცვალებული მიწას და არას დროს მიცვალებულის კუბოსთან არ აღასრულონ არც ერთი ის, რაც დღეს ყველას ჩვეულებად აქვს მიცვალებულთა დამარხვის დროს; ბ) სამღვდელოებამ უნდა გააგებინოს სამწყსოთ მოძღვრების და ღვთის გარეშე—საუბრების შემწეობით, მიცვალებულთა დამარხვის წეს-რიგი, გ) უნდა გააგებინონ, თუ რა წეს-რიგი აქვს დადგენილი ეკლესიას მიცვალებულთა დამარხვისათვის და დ) აგრეთვე გააგებინონ, თუ რამდენად ურიგო და შეუფერებელია, როცა ჩვენის ნებით ვცვლით ეკლესიის მიერ შემოღებულ წეს-რიგს ჩვენი გამოგონილი და სარწმუნოებრივ მნიშვნელობას მოკლებული წესებით. ჩემდამო რწმუნებული ეპარქიალური კანცელარია აცნობებს ამაებს მ.მ. ბლაღოჩინებს ცირკულიარულად და თან დასძენს, რომ ჩემ მიერ ეპარქიის დახედვის დროს, სამრევლოთა გამოკითხვით შეკრებილი იქნება ცნობები შესახებ მისა, თუ რა მოიქმედა ამ საგნის შესახებ თითოეულმა მღვდელმა და ისინი, რომელნიც ამ საგნის შესახებ არ გამოიჩენენ მუყაითობას და პირ-იქით მზად იქნებიან, რომ ეს ძველი წეს-რიგი არ მოისპოს, ძლიერ სასტიკად დაჯარიმდებიან“.

◆ ტფილისში განზრახვა აქვთ დააარსონ ძველ რუსულ საეკკლესიო საგალობელთა მოყვარულობის საზოგადოება. წესდება უკვე შეუდგენიათ. საწევრო ფული 3 მან. იქნება. ამ დიდმარხვაში კონცერტის გამართვასაც ჰფიქრობენ.

◆ სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის ტფილისის განყოფილებაში ეხლა 900-მდე მამულია დაგირავებული. ხსენებულ ბანკის ოპერაციებს შესამჩნევი ზრდა ეტყობა.

◆ ტფილისის კადეტის კორპუსის ადმინისტრაცია ეძებს ქალაქ გარედ ადგილს კორპუსის ახალ სადგომის ასაგებად. უკვე დაათვალიერეს ვერისა და დიდუბის თავისუფალი ადგილები, მაგრამ შესაფერისად ვერ იცვნეს. ამ დღეებში დაათვალიერებენ ავლაბრის თავისუფალ ადგილებს.

◆ გუშინ, 22 თებერვალს, ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში გადახდილ იქმნა პარაკლისი საერო განათლების მინისტრის ავადმყოფობისაგან განთავისუფლებისათვის.

◆ ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ თავ. ბებუთოვმა მოსთხოვა გამგეობის მესამე განყოფილებას, რათა მას დაუყოვნებლივ შეატობინონ, როცა კი ტეხნიკები რომელიმე სამუშაოს გაათავებენ.

◆ ტფილისის საბჭოს წუხანდელი კრება არ შესდგა, რადგანაც კანონიერი რიცხვი ხმოსნებისა არ შეგროვდა.

◆ ოთხშაბათს, 21 თებერვალს, დანიშნული იყო ქალაქის ლომბარდის მომწყობ კომისიის სხდომა, რომელიც წევრთა საკმაო. რიცხვის დაუსწრებლობისა გამო არ შესდგა. მაშ რისი კომისია იქნება, რომ საქმე გააკეთოს!

◆ კავკასიის მთავარ მართებელს თ. გოლიცინს ნება მიუცია მტკვრის პირად მცხოვრებ სახლის მეპატრონე პოლუექტოვისათვის ამოიყვანოს კედელი მდინარის პირად სახლის წყლისაგან უზრუნველ-ყოფისათვის. ამ ნებართვას პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს, რადგან აქამდე ამ გვარ ნებართვას არ აძლევდენ.

◆ გუშინ, 22 თებერვალს, ტრამვაის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელმა რობიმ წარუდგინა ქალაქის გამგეობას 360 მან. ჯარიმის ფული ელექტრონის ტრამვაის პროექტის წარმოუდგენლად დაგვიანებისათვის.

◆ ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ტფილისის ქალაქის თავს შეიტანოს განსახილველად „კოლიუჩი ბალკის“ მცხოვრებთა თხოვნა—შეიცვალოს სახელი „კოლიუჩი ბალკა“ „თევდოსიევის ბალკად“ და ყურადღება მიექცეს მისს მოწეს-რიგებას.

◆ ქ. ალექსანდროპოლი შუამდგომლობს ნორმალურ აფთიექის გახსნის ნება-რთვას.

◆ მსროლელთა ბრიგადა მიმდინარე წელს წავა ბანაკად თიანეთში.

◆ სამტრედიის (ქუთაისის მაზრა) ნაწილის ბოქაულად ყოფილი ნ. ბ. ტატიშვილი დაუნიშნავთ ზუგდიდის ნაწილის ბოქაულად.

# თეატრი

ოპერა კარმენი. 21 თებერვალს სახაზინო თეატრში დასდგეს ცნობილი და მომხიბლავი ოპერა კარმენი. როდესაც წარმოდგენას წინ უძღვის: „მიიღებს მონაწილეობას შესანიშნავი, ანუ გამოჩენილი“ და სხვა, მაყურებელი ელის სცენაზე ყური უგდოს მართლა შესანიშნავს მომღერალს. ორმა უკანასკნელმა წარმოდგენამ გააცრუა იმედი საზოგადოებისა. ქ. ტერიან-ყორღანოვისამ აასრულა კარმენის პარტია. ხმა ტერიან-ყორღანოვისა სრულად არ არის მაინცა და მაინც გამოჩენილი. მხოლოდ ერთ ადგილს მესამე მოქმედებაში დაბალი ნოტა აიღო მოხერხებულად. დანარჩენი პარტია იმღერა სუსტის ხმით. რაიცა შეეხება თამაშს—გაცილებით ჩამორჩა ქ.ქ. ბონტიბრუნერისა, რენენბერგის და ოლგინის თამაშობასაც. გადაჭარბებული თავისუფლად ქცევა, მიხვრა მოხრა და თვალების ბრიალი უფრო პარიზის ზოგიერთ კოკეტკას მოგაგონებდათ, ვიდრე კარმენს. საზოგადოებამ ძალიან ცივად მიიღო მისი სიმღერა და თამაშობა. სამაგიეროდ ბორისენკომ ხოზეს პარტიის ასრულებით განუწყვეტელი ტაშის ცემა გამოიწვია. ამ საღამოს ბორისენკო უფრო მეტის ცოდნით და გრძნობით თამაშობდა, ხმაც არ ჰღალატობდა. ტორეადორის პარტია აასრულა იაკოვლევმა. იაკოვლევმა ვერც აქ გამოიჩინა ხმა, თუმცა უკეთესი იყო, ვიდრე ევგენი ონეგინში. ქ. რადინისა თან და თან უკეთესდება როგორც სიმღერით, აგრეთვე თამაშობით.

ქიზიყი ყოველ წელიწადს იძლევა საუკე-სო ღირსების დიდძალს სურსათს (პურს, ს, ფეტვს, სიმინდს), ღვინოს, არაყს, ლავს, მატყლს, თამბაქოს, პარკს, ყველს, ბოს, ბოსტნეულობას, ბაღეულობას, ეულობას, ხე-ტყეს, კირს, გაჯს, ურ-კრამიტს და მეურნეობა-მრეწველო-ავე სხვა ათასგვარ ნაწარმოებს ქვეყ- დუქან-ბაზრებში გასატანად. მაგრამ ზიყის ხალხს რომ საამდროვო მეურ-ლი სწავლა-ცოდნა შესწევდეს და ნაკ-ებ-სარგებლიან კრედიტამდის მაინც ლი მიუწვდებოდეს თავის მეურნეობა-მრეწველობის გასაუმჯობესებლად, ერთი ად და ოცად მეტს სიმდიდრეს გამოალე-ნებდა წეს-რიგიან გზაზედ დაყენებულ ურნეობა-მრეწველოსას თავისი დაუცხრო-ლი გარჯა-შრომის წყალობით და ბუნე-საგან მომადლებული სანაქებო მიწა-წია-გის საუკეთესო თვისებათა მეოხებით.

სიღნაღის მაზრა-ქიზიყი რომ დღეს საქარ-თველოს ყველა კუთხეზედ და თვით თელა-სა და გორის მაზრაზედაც ბევრით წინა დგას ქონებრივის შეძლებით, ამას ცხადად ტკიცებენ ის ოფიციალური ციფრებიც, რომელნიც შემოსავლის და კვალად ანაწი-ლებენ მაზრების ყოველ-წლიურ გარდასა-ხადს, მაგალითად: მდგომარე წელს სიღნა-ღის მაზრა-ქიზიყმა უნდა გარდაიხადოს სახელმწიფო-საბეგრო და საადგილ-მამულო ხარჯი 135,585 მ., თელავის მაზრა-კახეთმა —46,486 მ. და გორის მაზრა-ქართლმა—37,647 მ.; დიაღ, ქიზიყი, რომლის ხალხის ნახევარმა ნაწილმა არ იცოდა, ბატონყმობის უღელი რას ერქვა, საქართველოს ყველა კუთხეზედ შეძლებულია დღეს ქონებრივად, მაგრამ რა გამოვიდა, ქიზიყის მეურნეობა-მრეწველობის უმთავრესი ავლადიდებაც სხვა-და-სხვა აუარებელ მოვაჭრე-მოვახშეების ხელში გადადის ნახევარფასად და ხშირად—ჩალის ფასადაც, გლეხკაცთა იმ უშემწეო გაჭირვების გამო, რომელიც ჰირის ოფლის მღვრელთა შვილებსაც აუბედურებს და მათის მონაგარით გამდიდრებულ-გაბატონებულთა შვილებს კი გოლიათის ნაბიჯით მიაქანებს საბედნიერო წარმატებისაკენ.

ამასთანავე აქ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ საშინლად იცვრცება და ილუპება ხალხი სოფლის მოქრთამე მოხელეებისაგან, მკითხავ-ქადაგებისაგან, გაიძვერა „ჯანაოზ-აქიმებისაგან“, გაქნილი „აბლაკატებისაგან“, სოკოს სისწრაფით გამრავლებული სამიკიტნოებისაგან, მოდის ტანსაცმელებში ცუდუბრალო ხარჯვა-ფლანგვისაგან, ბუნებისაგან მოვლენილ ათასგვარ ჭირ-ვარამისაგან, უინტელიგენციობისაგან, ჰიგიენის საწინააღმდეგო უსუფთაობა-სიბინძურისაგან და სხვა იმოდენა უვიცობისა და ცრუ-მორწმუნების ზნე-ჩვეულებისაგან, რომ მათ საქმის ცოდნით მარილიანად მომთხრობლებს შავის ზღვიდან კასპის ზღვამდე გოლცებით ყურს დაუგდებდა ქართველთა ცხოვრების ყველა ცნობის-მოყვარე ადამიანი და თვით მატიანეც სამშობლო ისტორიისა.

უმთავრესი წყარო კახეთ-ქიზიყის ცხოვრებისა თავდაპირველიდანვე მეურნეობა და მრეწველობა ყოფილა, არის და იქნება საუკუნოდ, მაგრამ დღევანდელი მისი გლეხკაცობის მეურნეობა და მრეწველობა ბევრით არ განსხვავდება ნოეს დროინდელ მეურნეობა-მრეწველობისაგან, რადგანაც სწავლა-ცოდნა არა აქვს ხალხს და მისი უსწავლელობა-უცოდინრობის მიზეზიც ხომ ის არის, რომ ორი ათასის წლის განმავლობაში—გუშინდლამდე ხელში ხმალი ეჭირა ქარქაშში ჩაუგებლად. ჩააგო ხმალი და მის შემდეგ მოკლე დროშიაც კაი ნაბიჯი წადგა თავისი ლომკაცურის გარჯა-შრომით განთქმულმა ქიზიყმა, რომელმაც ფართო კვალი დაატყო თავის ახალ ცხოვრების ხანას: ჩალურები და გომურები ქვიტკირის შენობებზედ შესცვალა; თითქმის ყველგან დაიარსა პირველ-დაწყებითი სკოლები (თუმცა ზოგიერთ პედაგოგიურ საფუძველს მოკლებული); დაიფუძნა ყველა სოფელში საერთო პურის მაღაზიები, რომელთა წყალობით დღეს ქიზიყის გლეხ-კაცობას ორასი ათას (200,000) მანათზე მეტი აქვს სახელმწიფო ბანკში, რამდენიმე წლის განმავლობაში მილიონამდინაც ავა და იქითაც გადავა ყოველ წლივ „სულის პურის“ შეკრეფით; ცოტად მაინც მოიხვეშა კულტურულის ცხოვრებისათვის მოუხეშავი ქიზიყი და შესამჩნევად გაიფართოვა თავისი მაცხოვრებელი მეურნეობა და სოფლური მრეწვეულობა. მაგრამ, როგორც ვთქვით, მისს მეურნეობა—მრეწველობის სახეირო ნაღებს სხვა-და-სხვა უთვალავი მოვაჭრე-მოვახშენი ჰხდიან ხალხს საწველ საკრეჭად მომართულ ალებ-მიცემობით, რომლის უსამართლო და დაუნდობელი „ჩოტკი“ და ვექსილიც სწორედ ისე ანადგურებს დღეს ხალხის ტანჯვის ოფლით მონაგრებულ სიმდიდრეს, როგორც სპარს-ოსმალო-დაღისტნელნი ანადგურე დნენ უწინ ცეცხლითა და მახვილითა.

ძნელია მიწად-მომქმედ ხალხის ყოველის მხრივ სასურველად წარმატება და სამთელ ქვეყნოს პროგრესში თვალ-საჩინო წილის დადება, ვიდრე ისიც თავის მაცხოვრებელ მეურნეობა-მრეწველობის მილიონების ნაწარმოებს სახეირო ალებ-მიცემობის დუქან ბაზრებს არ აღმოუჩენს შინ და გარედ სამეურნეო სინდიკატების წყალობით, სასოფლო ბანკებსაც არ დაიფუძნებს, ასი ათასგვარ შემოტანილ საქონლის კოოპერატიულ ამხანაგობებსაც არ დაიარსებს ყველგან და სამეურნეო სწავლა-ცოდ ის მზის სხივებივით მომფენ სასწავლებლებსაც არ ეღირსება ქვეყნისათვის გულ-შემატკივარ ადამიანთა თავგამოდებული მეცადინეობით და უმაღლესის მთავრობის საკეთილო შემწეობით.

ქიზიყელი მეურნე

სახაზინო თეატრის გამგეობას, როგორც ეტყობა, არასა ჰზოგავს ამ სეზონში, მაგრამ შეცდომებიც მოჰსვლია მომღერალთა არჩევაში. ამათი აიხსნება ის გარემოება, რომ ადგილები ბევრია თავისუფალი. ამის გამო დირექცია აცხადებს, რომ ტყუილი ხმებია გავრცელებული, ვითომ ბილეთები სულ არის გაყიდულიო. „კარმენზე“ თეატრი სავსე იყო.

# პროვინცია

**ქ. ოზურგეთი.** ორშაბათს, 19 თებერვალს, ერთი უბედურება დატრიალდა. სასამართლოში, მსაჯულის თვალ-წინ, თავ. ნ. ნ—ძემ რევოლვერით მძიმედ დასჭრა თავ. მ. ნ—ძე. ამ საქმის გარემოება ასე ყოფილა: მ. ნ—ძე სხვა-და-სხვა პირებიდან—ძმ. ი. და ნ. ნ—ძეების ვექსილები ჰყიდნია, აღმასრულებელი ფურცელი აუღია და 19 თებერვალს ვექსილების გამცემთა მამული უნდა გაეყიდულიყო საჯაროდ. მამული მ. ნ—ძეს უნდა დარჩენა. ნ. ნ.—ძემ რამდენჯერმე სთხოვა მ. ნ—ძეს: ნუ დამღუპავ, მე მაგ მამულის მეტი სახსარი არა მაქვს, ცოლ-შვილს მაგით ვარჩენ და შენ კი, ღმერთმა მოგცეს, სხვაც ბევრი გაქვს, გაჭრობა გადასდევი და შემდეგ რაიმე გზით დაგკამაყოფილებო, მაგრამ მ. ნ—ძემ ყურიც არ ათხოვა ამ სიტყვებს და მამული დაირჩინა. მშრალზედ დარჩენილმა ნ ნ—ძემ ესროლა რევოლვერი და, როგორც ექიმი ამბობს, სასიკვდილოდ დასჭრა მ. ნ—ძე. დამნაშავემ იარაღი ა. კ—ძეს ჩააბარა და თავის სურვილით გამოეცხადა ქალაქის ბოქაულს.

---

**სოფ. კარდენახი.** (სიღნაღის მაზრა). «კაცს თუ ერთი ფეხი გადაუბრუნდა, ყველაფერი უკუღმართად წაუვაო», ნათქვამია. სწორედ კარდანახელებსაც ეგრე მოუვიდათ. ჯერ ეკლესიის გატეხა და შეურაცყოფა არ მოენელებინათ, რომ სამინისტრო სკოლის გაძარცვა და გაქურდვა მოევლინათ. ათს თებერვალს, შაბათს, საღამოს, სკოლის მასწავლებელს მოსამსახურე შინ დასთხოვებოდა. მასწავლებლის ძილის დროს ვიღაც ბოროტ მოქმედი არხეინად შესულიყო ოთახში, ამოეღო მასწავლებლისა 5 მ. და 57 კ. და აეღო წერილი, რომელიც მასწავლებელს სახლში უნდა გაეგზავნა. სახლში საათიც იყო, მაგრამ მისთვის ხელი არ უხლია; შემდეგ გასულიყო საკლასო ოთახში, აენთო სანთელი, გაეტეხნა დაკეტილი სკოლის წიგნთ საცავის შკაფი და გამოეღო თხუთმეტი ახალი რვეული, ექვსი შავი კარანდაში და ერთიც ფერადი. ჩამოეღო კედლიდან ხატი და ძირს დაეღო; მგონი რომ წასაღებად სდომებია და რადგანაც ვერცხლი არა ყოფილა, იქვე დაუტოვებია.

გათენდა დილა, მოსამსახურე შინიდან ადრე დაბრუნდა, და რა შეამჩნია, რომ კლასის ფანჯარა ღია იყო, შაეხედა შიგ და დაენახა, რომ შკაფი გატეხილია. მეშინვე შევარდნილა ოთახში და გაეღვიძებინა მასწავლებელი. მასწავლებელმა მაშინვე ყველაფერი დაათვალიერა და აღმოჩნდა, რომ დასახელებული ნივთები აკლდა. დაიბარა მამასახლისი და ყველაფერი უამბო; შემდეგ მაზრის უფროსსაც აცნობა.

მებადე.

---

### ბ-ნ კიტა აბაშიძის წერილის გამო

(წერილი რედაქციის მიმართ)

იმედი მაქვს, პატივცემული „ცნობის ფურცლის“ რედაქცია ამ ხანადაც არ უღალატებს თავის მიერ აღიარებულს პრინციპს და ნებას მომცემს მეც ვსთქვა ორიოდე სიტყვა ბ. კიტა აბაშიძის წერილის გამო. ბევრმა „ცნობის ფურცლის“ მკითხველმა, რომელიც თუ „ივერიას“ არა კითხულობს, შეიძლება, არა ჰეშმარიტი წარმოდგენა იქონიოს ჩემ მიერ უკანასკნელში მოთავსებულ წერილზე, რომელსაც ასე აუღელვებია და აუშფოთებია ბ. კიტა აბაშიძე (იხ. მისი წერილი 1901 წ., № 1376, 7 თებერვალი) და ამიტომ ვიტყვი, რაშიაც არის საქმე. „ივერიის“ № 27-ში მე ვამბობდი, მეცხრამეტე საუკუნე გათავდა და ეხლა მაინც დროა ვიზრუნოთ, რომ ღირსეულად იქმნან დაფასებულნი ყველა ჩვენი ამ საუკუნის მწერალ-მოღვაწენი, რისთვისაც საჭიროა ეხლავე, სანამ ჯერ კიდევ სრულიად არ გამოგვცლიან ხელიდან ამ დროის მომსწრენი, შევაგროვოთ საჭირო მასალა და დავსტამბოთ მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერილობანი მეთქი; „მით უფრო საჭიროა დაჩქარება ასეთ აღწერილობათა დასტამბვისა, რომ ამ ბოლო დროს ჩვენში გავრცელდა, ასე ვთქვათ, დასებრივი და პირად განწყობილებაზე და სიმპატიაზე აშენებული კრიტიკა“, ვსთქვი მე, სხვათა შორის, ჩემს წერილში და მაგალითად მოვიყვანე ბ. კიტა აბაშიძის ფელეტონი: „მეცხრამეტე საუკუნე საქართველოს ლიტერატურისათვის“, სადაც ერთის სიტყვითაც კი არ არიან მოხსენებულნი: გრ. ორბელიანი, ვახტ. ორბელიანი, გიორგი ერისთავი, რაფ. ერისთავი, მამია გურიელი, გ. ქალადიდელი, გ. რჩეულაშვილი, ლ. არდაზიანი და დ. ჭონქაძე, მაშინ, როდესაც ბ. ბ. დეკანოზიშვილსა და ზურაბიშვილზე საკმაოდ ლაპარაკობს ავტორი. „ყოველი წრე, ყოველი პარტია აქებს ხოლმე თავისის პარტიის წარმომადგენლებს“, როგორც ბ. კიტა აბაშიძეც ბრძანებს თავის საპასუხო წერილში და მეც მხოლოდ, აღვნიშნე რა ეს გარემოება, მივუთითე საზოგადოდ ქართველ ინტელიგენტებს, რომ ნუ ვიქნებით ასეთნი ცალმხრივნი და ყოველ მწერალსა და მოღვაწეს თავისი მივუწყოთ მეთქი. მე მეგონა, რომ აქ ასაღელვებელი და ასაშფოთებელი სრულიადაც არა იქმნებოდა-რა, მაგრამ მოვსტყუვდი. ბ. კიტა აბაშიძე ისე განრისხებულა, რომ ვინ იცის, რა ბრალს არა მდებს და რა ეპიტეტებით არ მამკობს თავის წერილში! „მხოლოდ ჰორიკანობის მოყვარულ ჩვენს საზოგადოებაში არის შესაძლო დაუსჯელად ისეთი ველურისა და მხეცურის აზრის წამოროშვა, რომ ეს იმის ნაწერს იმიტომ აქებს,—იმისი მეგობარია და ამისი ნაწერი იმიტომ არ მოსწონს, რომ მისი მტერიაო“, ბრძანებს, სხვათა შორის, ბ. კიტა აბაშიძე. მერე, მე როდის გითხარით, მეგობრობით აქებთ ვისმე მეთქი? მე ვთქვი მხოლოდ, ჩვენში გავრცელდა „დასებრივი და პირად განწყობილებაზე და სიმპატიაზე აშენებული კრიტიკა“ მეთქი და აკი თქვენც ამბობთ: „ყოველი წრე, ყოველი პარტია აქებს ხოლმე თავისის პარტიის წარმომადგენლებსო“. დიახ, ყოველი წრე, ყოველი პარტია აქებს თავისის პარტიის წარმომადგენლებს და თქვენც, რასაკვირველია, ვერავინ დაგიშლით აქოთ თქვენის დასისა და წრის წარმომადგენელნი, რომლებთანაც კარგს განწყობილებაში ბრძანდებით და რომელთა მიმართულებასაც თანაუგრძნობთ, მხოლოდ ნება მოგვეცით, რომ ჩვენც ვიზრუნოთ, რომ ყველა ჩვენი მწერალნი, რომელნიც კი სწერდნენ და იღვწოდნენ სამშობლოს საკეთილდღეოდ, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პარტიას ეკუთვნოდნენ ისინი, შესაფერად იქმნან დაფასებულნი. ამით ვათავებ ამ წერილს და დაე, თვით „ცნობის ფურცლის“ პირუთვნელმა მკითხველმა განსაჯოს, ვინ „მიედვ-მოედვა აბდა-უბდას“ მე, თუ ბ. კიტა აბაშიძე, რომელიც ერთს ადგილას ბრძანებს: „მოვალეობად მიმაჩნია, რომ ჩვენის ლიტერატურის ის მოვლენა უნდა აღვნიშნო და გამოვაქვეყნო, რომელიც საყურადღებოა, სულ ერთია, მტერს ეკუთვნის საყურადღებო ნაწერები, თუ მეგობარსო“ და ცოტა ქვევით განაგრძობს: „ამიტომაც არის, რომ თუმცა ბ-ნ დუტუ მეგრელთან უფრო კარგს განწყობილებაში ვიყავი, ვიდრე ბ-ნ კლდიაშვილთან და შ. არაგვისპირელთან, მაგრამ მისი ნაწარმოები მაინც დავგმე და ეს ჩემი აზრი მწერლობაშიაც გამოვთქვი ერთხელ და თუ ეხლა აღარას ვლაპარაკობ, ეს იმიტომ, რომ ლაპარაკის ღირსადაც არ მიმაჩნია, მით უმეტეს, რაკი მისი ზნე-ხასიათი ვიცი. სწორედ ამ მოსაზრებითვე არ მოვიხსენიეთ მისი სახელი მისგან დაგმობილ ჩვენს ფელეტონში, რადგან არ მიმაჩნია ნიჭიერ და ორიგინალურ მწერლად. ბ-ნ დუტუ მეგრელის ნაწარმოები ეგ. ნინოშვილის მოთხრობების ტიპის ძლიერ სუსტი და მქრთალი წარმომადგენელია და მათი მიბაძვაა“-ო. შევნიშნავ მხოლოდ, რომ ჩემი „სურათები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“ (ალბად ამათზე ლაპარაკობს ბ-ნი კიტა აბაშიძე) შეუძლებელია ეგ. ნინოშვილის მოთხრობების მიბაძვა იყოს, რადგან, სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ, უფრო ადრე არიან დაწერილნი და დაბეჭდილნი უკანასკნელებზე, რაიც, დარწმუნებული ვარ, კარგად უნდა მოეხსენებოდეს თვით ბ. კიტა აბაშიძეს.

დუტუ მეგრელი

---

# სასამართლო

შორაპნის მაზრის დაბა ყვირილაში 1899 წლის 25 მარტს, საღამო ხანს, ხალხი გამოსულა დაბის მოედანზე ბურთის სათამაშოდ; რადგანაც ადგილობრივ მაზრის უფროსისაგან აღკრძალული ყოფილა ამ ადგილზედ ბურთის თამაში, პოლიციის ბოქაულს ლუკა სიმონის ძე ჩარკვიანს განკარგულება მოუხდენია, რომ ხალხს შეეწყვიტა თამაში; რადგანაც ხალხი მაინც არ დაწყნარებულა და განუგრძვია თამაში, ბოქაული თვით მისულა, ცდილა ხალხისთვის წაერთმია ბურთი და შეეწყვიტა ხალხის ჟრიამული. დიდის ხნის მეცადინეობის შემდეგ, ბოქაულს ხალხისთვის ბურთი წაურთმევია; ხალხს ეს მეტად სწყენია; ერთს იქვე მდგომს, ივანე ბიჭიას ძე დუგლაძეს დაუძახნია; „რა უნდა აქ ბოქაულს“-ო და ამასთან შეუგინებია კიდეც მისთვის; ეს რომ შეუტყობინებიათ ჩარკვიანისათვის, მას მიუხმია თავისთან დუგლაძე, რომელიც მაშინათვე გაქცეულა რკინის გზის სადგურისაკენ; მას უკან გამოსდევნებია ბოქაული და რამდენჯერაც წამოსწევია, იმდენი წაუკრავს ქიმუნჯი დუგლაძისათვის. ბოქაულს დუგლაძე დაუჭერია სადგურში, საიდანაც კინწის კვრით გამოუთრევია და როდესაც სადგურიდან კიბეზე ჩამოდიოდა, ყური მოუკრავს, რომ იქ მდგომს ტელეგრაფისტს ალექსანდრე ლამბაროვს უთქვამს ერთი კაცისათვის—„რათა სცემს ბოქაული დუგლაძესაო“, რაზედაც იმდენად აღელვებულა ბოქაული, რომ გაუშლია ხელი და ლამბაროვისათვის სილა გაურტყამს მარცხენა ყბაში, ეს ამბავი ლა ბაროვს გუბერნატორისათვის შეუტყობინებია, რომელსაც მესამე დღესვე დაუთხოვნია ბოქაული ლუკა ჩარკვიანი სამსახურიდან და სასამართლოს პასუხის გებაში მიუციათ ლამბაროვისა და დუგლაძის საჯარო ადგილზედ გალახვისათვის. ეს საქმე გუშინ, 22 თებერვალს, განიხილა ტფილისის სამოსამართლო პალატამ, სადაც ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილის თანაშემწე თავ. ბარათაშვილი; პალატაში ჩვენება ჩამოერთვა 8 მოწამეს, რომელთაგან ოთხმა-ხუთმა შეამოწმა ამბავი ლამბაროვისა და დუგლაძის ბოქაულად ნამყოფის ჩარკვიანისაგან გალახვისა. თვით ჩარქვიანმა განაცხადა, რომ მე ამ საქმეში ბრალი არა მაქვსო: დუგლაძისათვის მე არ დამირტყავს, მხოლოდ მისგან დედის შემოგინებამ და ასე უმიზეზოდ უზრდელად მოპყრობამ ისე გამამწარა რომ როცა თვითონ არ მოვიდა, მე გამოუდექი, კისერში ვტაცე ხელი და ისე წამოვიყვანე პოლიციაში; აგრეთვე ტყუილია ის, რომ მე ლამბაროვისათვის შემომეკრას, რადგანაც ისე ბრიყვი არა ვარ, რომ უმიზეზოდ და გამოუწვევლად მე მისთვის შეურაცხყოფა მიმეყენებინა, მხოლოდ, შესაძლებელია, რადგანაც არეულ ხალხში იყო, ხელი მომიხვდა უცაბედად ლამბაროვისათვისო.

ბრალდებულის ვექილმა თავ. ბარათაშვილმა სთხოვა პალატას,—თუ მისს რწმუნებულს დამნაშავედ იცნობდნენ, დაეჯარიმებინათ. სამოსამართლო პალატამ ნაშუადღევის 2 საათზე გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც დამნაშავედ იცნო ბოქაულად ნამყოფი პ... ჩიკი აზნ. ლუკა ჩარკვიანი საჯარო ად... ლამბაროვისა და დუგლაძის ... შეუ... ყოფის მიყენებაში და გადაუწყვ... ტა 7 ... ვადით სამხედრო ... ში დაპატიმრ...

---

# საღამოს დეპეშები

22 თებერვალი

**პეტერბურგი.** საერო განათლების მი... ტრის ავადმყოფობის ბიულლეტენი: „... მშვიდობიანად გაატარა; სუნთქვა თა... ფალი აქვს: საჭმლის ყლაპვა გაუადვი... სიცხე 36,7, მაჯა 74, სუნთქვა 14“.

**პრეტორია.** აქ მოვიდა მილნერი და ... დგა ტრანსვალისა და ორანჟეს რესპუ... კების ადმინისტრატორის თანამდებ... აღსრულებას.

**სოფია.** პოლიტიკურ წრეებში აღ... ნეს, ტენდენციურიაო „ნევე ფრაიე პრე... ცნობა, რომ იუსტიციის მინისტრი რ... ვი მაკედონელი არის და მაკედონელთა ... მიტეტის პრეზიდენტად იყოვო. ამ კ... ტეტის პრეზიდენტად ის იყო რამდე... წლის წინედ, როდესაც საზოგადოებას ... აშფოთებდა ამ კომიტეტის არსებობა. რა... შეიქმნა კარაველოვის სამინისტროს წევ... არა როგორც მაკედონელი, არამედ ... გორც ბოლგარელი და პროგრესიულ ... ტიის გავლენიანი წევრი.

**ბრემენი** როდესაც იმპერატორი სადგუ... საკენ ეტლით მიდიოდა, ვიღაც დი... ვეილანდმა ეტლში ისროლა რკინის ნა... ხი. ამბობენ, რომ გადაგდებულმა რკ... ცოტაოდნად გაჰკრა იმპერატორს ლოყა... იმპერატორი არ შეჩერებულა. ვეილა... ეპილეტიკია და დაბნეულს პასუხებს იძლ...

**მადრიდი.** ახალი სამინისტროს წევრ... გარეშე საქმეთა მინისტრი—მორეტი, შ... გან საქმეთა—ვეილერი, სამხედრო—ხუ... ბერგა, ზღვათა მინისტრი—ვილიანევა, ... ზოგადო სამუშაოთა—რომანონესი, სა... განათლებისა—ურცეცი, ფინანსტა—ტე... გა და იუსტიციის მინისტრი—მღონხი.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა. ბ... ფური იტყობინება, რომ სამეფო სახ... შენახვის ხარჯის რაოდენობის განხილვა ... დაიდვა ხვალინდელ სხდომამდეო. მინის... წინადადება წარუდგინა პარლამენტს შ... ლილ იქმნას საპარლამენტო წესი იმგვარ... რომ დროებით გამოსარიცხავი დეპუტა... ბი, რომელნიც არ ემორჩილებიან ამ დ... გენილებას, გამოირიცხებოდნენ თავმჯ... მარის ნებით პარლამენტის დასრულება... (ტაშის ცემა სამინისტროს პარტიისა, პ... ტესტები ირლანდიელებისა). შემდეგ ბ... ფური აცხადებს, რომ ხვალ პალატას წა... დგინება წინადადება ღამის სხდომების მ... პობის შესახებ (სამინისტროს პარტიის ... ცხარებული ტაშის ცემაა).

**პეკინი.** ვალდერზეეს ეუწყა ლიხუნჩან... წინადადება იმის შესახებ, რომ მოკავში... ებმა მოსპონ ექსპედიციების გზავნა, ხო... ავაზაკობის მოსპობა მიანდონ ჩინელთა ... რებს. ვალდერზეემ თავაზიანად უპასუ... რომ ამ საქმეში თავისუფლად იმოქმედე... მაგრამ პირობას იძლევა, რომ არ გაგ... ნის ექსპედიციებს, თუ თვით ჩინელ ჯა... ბის, ან „დიდი მუშტის“, ან ავაზაკების ... ქმედება არ გამოიწვევს ღონის ძიებათა ... ღების საჭიროებას. ჩინელ ჯარებს, განა... ძო ვალდერზეემ, შეუძლიათ თავი უფლ... იმოქმედონ იმ წრის გარედ, რომელ... უცხოელებს უჭირავთ, მაგრამ მე უნდა ... ცნობოს ამ ჯარების რაოდენობის და ... ნების ამბავიო.

---

რედაქტორი ალ. ჭყონია.

გამომცემელი ალ. ჯაბადა...